№ 2684
ორშაბათი,
29 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2684
ორშაბათი,
29 ნოემბერი

ხელის მოწერის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904 107

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნ ა კ ა დ უ ლ ი“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმაწვილთათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წლიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წლიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შეიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ.
რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—25) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

ს ა ფ ა ბ რ ი კ ო ს ა წ ყ ო ბ ი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—188)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საოპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ორშაბათს, 29 ნოემბერს 1904 წელს ტფილ. რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება „ა ი დ ა“ ოპერა 5 მოქ. მუსიკა ვერდისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტულლერი, შიხუტსკაია-მინჩენკო; ბ-ნნი: რიბაკოვი, კამაროვი, გალეცკი, სპერანსკი, ჩალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
30 ნოემბ. „ტრავიატა“. გამგე ი. ა. კელლერი.

არტისტიულ საზოგადოების დარბაზში დანიშნული კონცერტი საიმპერატორო თეატრის არტისტკის ქალ. ნ. მ. პაპიანისა არ შესდგება, რადგან მიწვეულია საოპერო დასში გასტროლებზე.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
ა. ი. ზალდასტანიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
მ. ტ. მ[illegible]ლინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ქიმონტი.—ქირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. წ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
ლ. ა. ზიდიმანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მს. ქალი ე. ძ. იოსიდიანი.—ქალისა და საბეჭვის, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
გ. ა. ზიდიძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, სახეზით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
გ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—2 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორთოპედია ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფების მორიგებით. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—16)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყურადღების ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ე ქ ი მ ი
ი. ა. გ ო ქ ი ე ლ ო ვ ი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შინაგანის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ე ქ ი მ ი
ი. ე. ზ ა მ ბ უ რ ა ძ ე
რიბოვდოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—16)

ე ქ ი მ ი
ა. ნ. თ ე თ რ ა ძ ე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—16)

კბილის ექიმი
ე ლ. რ ო მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—35)

ახალი ამბავი

◆ ცნობები ხოლერის შესახებ. 25 ნოემბერს ბაქოში ავად გახდა ორი, მოკვდა ორი კაცი. ამავე დღეს კარაკლისში ერთი კაცი გახდა ავად. განჯის გუბერნიის სოფელ სარკლიარში 23 ნოემბრამდე ავად გახდა ხუთი, მოკვდა სამი. ჯებრაილის მაზრაში მოკვდა ორი, ავად არის სამი. სოფელ ქურთლახმუტლაში ავად გახდა 26, მოკვდა 17. მცირე აკარის ხეობაში 14 სოფელში ავად გახდა 181, მოკვდა 125 კაცი. ზანგეზურის მაზრის სოფელ ეშაკიაში ავად გახდა, 8, მოკვდა 7 კაცი.

◆ ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების მიერ არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისში მოქალაქეთა ხარჯით სასწავლებლის დაარსება, უკანასკნელს სხდომაზედ მიიწვია პედაგოგები განზრახულ სასწავლებლების ტიპის დასაარსებლად. შეერთებულმა სხდომამ დაადგინა: 1. მომავალი სასწავლებელი დაარსდეს უმთავრესად მოქალაქეთა ღარიბ უმრავლესობის ბავშვებისათვის; 2. სწავლა უფასო უნდა იყოს სასწავლებელში; 3 სკოლაში უნდა მიიღებოდნენ ბავშვები 7-დან 12 წლამდე როგორც ვაჟები, ისე ქალები; 4. სკოლა იქნება საზოგადო განათლების ხასიათისა დამთავრებულის კურსით; 5. სწავლის კურსი 4 წლისა უნდა იყოს და პირველს განყოფილებაში უნდა დაარსდეს განყოფილებანი ქართველ, სომეხ და სხვა ეროვნების მოწაფეთათვის; 6. სკოლაში უპირატესობა უნდა მიეცეს კლასურ სწავლებას, ე. ი. ყველა საგნების მასწავლებლად ერთი კაცი უნდა იყოს; 7. სკოლაში უნდა იყოს 4 განყოფილება და თითოეულ განყოფილებაში 40 სული ანუ სულ 200 ყმაწვილი; 8. ყოველს განყოფილებაში თითო მასწავლებელი უნდა იყოს და 9. ერთხანად სკოლის მოსაწყობად საჭიროა 1600 მან., ხოლო ყოველწლიურად 5000 მან. რაკი სკოლის ტიპი გამოირკვა, კომისია შეუდგა საკითხის ტეხნიკურ მხრის შესწავლას და საჭირო ცნობების შეკრებას. კომისიამ სთხოვა მოსკოვისა, ოდესისა, ხარკოვისა, კიევისა და სხვა ქალაქების მოქალაქეთა გამგეობებს მიაწოდონ ცნობები მათის ხარჯით დაარსებულ სკოლების შესახებ.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლომ 27 ნოემბერს დაამთავრა იმ თისაქმის განხილვა, რომელთაც ქუთაისის საკრედიტო საზოგადოების გაძარცვა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ მარგალიტაძე და თავართქილაძე გაამართლა, ტიგარაძეს გადაუწყვიტა კატორგაში გაგზავნა 6 წლითა და 8 თვით, ხოლო დანარჩენთ—კატორგა 10 წლით.

◆ მოსკოვში ჩვეულებრივ ქართულ ხალხურ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ მართავს კვლავინდებურად თავადი ა. ი. სუმბათაშვილი. საღამო უნდა გამართულიყო გუშინ, 28 ნოემბერს.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ დღევანდელს კრებაზე უნდა განიხილოს: დადგენილება გამგეობის განსაკუთრებულ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის დაწესების შესახებ; მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1902 წლის ანგარიშის შესახებ; მოხსენება ხორცის დუქნების კომისიისა დუქნების ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ; მოხსენება ხმ. ხუდადოვისა ღარიბთა უბნებში საჩაიების გამართვის შესახებ; არჩევანი ქუჩების მომკირწყლელ კომისიის თავმჯდომარისა და სხვა.

◆ 27 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გუმბრის მცხოვრების სომეხთა მღვდლის ტერ ოვანეს ოვანესიანცისა, სამსონ არუთინოვისა და ჰაიკ ამატუნისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ სხვებთან ერთად უწესოებებში მონაწილეობის მიღება და წინააღმდეგობის გაწევა ადმინისტრაციის წარმომადგენელთათვის, როდესაც ეს უკანასკნელნი საეკლესიო ქონებას იბარებდნენ. განჯის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო სამივე ბრალდებული და გადაუწყვიტა მღ. ოვანესიანცს და ამატუნის—8 თვით, ხოლო არუთინოვს 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. პალატამ საქმე ხალხის დაუსწრებლად გაარჩია. ბრალდებულთ იცავდნენ ტ. ნ. იონესიანი და ხატისოვი. პალატამ მიიღო სახეში უმაღლესი მანიფესტი და ბრალდებულნი სასჯელისაგან სრულიად გაანთავისუფლა.

◆ გუშინ, 28 ნოემბერს, გორში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია ს. ვ. ჩემესოვის თავმჯდომარეობით. სესიის სხდომები დაიწყება დღეს, 29 ნოემბერს, და გასტანს 7 დეკემბრამდე.

◆ ამ დღეებში ტფილისიდან მანჯურიაში მიემგზავრება ორმოცდა ცამეტი დამოწყალებისა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან იმიერბაიკალის გზაზე მოითხოვეს ოთხი სადგურის უფროსის თანაშემწე.

◆ სად. ჩაქვა. 26 ნოემბერს, როდესაც საქონლის მატარებელი № 417 სადგურში შედიოდა, ზუგდიდის მაზრის სოფელ ხიბულას მცხოვრები ლევან ნებია გადმოხტა და მარცხენა ფეხი ჩაუვარდა ვაგონებ ქვეშ. დაშავებული ბათუმის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სადგ. სამტრედია. 27 ნოემბერს, დილის 6 საათზე, როდესაც დეპოში მომუშავე გიორგი პაიჭაძე ორთქლ-მავალზე მუშაობდა, მარცხენა ხელი დაიშავა.

◆ სად. დვანი. 26 ნოემბერს მიმავალ საქონლის მატარებლიდან (№ 187) მე-731 ვერსზე გადმოხტა მეისრე უსეინ მამედ-ოღლი, მარცხენა ფეხი ვაგონებ ქვეშ მოჰყვა და დაშავდა. დაშავებული ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ „რუსკ. ვედ.“-ს, რომ 21 ნოემბერს პეტერბურგის საოლქო სასამართლოში ნაფიც ვექილების კრება უნდა მომხდარიყო სასამართლოს წესდებათა შემოღების შემდეგ ორმოცი წლის თავის აღსანიშნავად. როცა ნაფიცი ვექილები მივიდნენ სამოსამართლოს შენობასთან, კარები დაკეტილი დახვდათ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს განკარგულება გამოეცა, სასამართლოს შენობა ამგვარ კრებებისათვის დანიშნული არ არის და კარები უნდა დაიკეტოსო. ნება არ მისცეს მოსამსახურეთ ბრალმდებელის განკარგულება კარებზე გამოეკრათ და ქუჩაში შეგროვილმა ნაფიცმა ვექილებმა ვერაფერი ვერ შეიტყვეს და არ იცოდნენ რა ექნათ. ამ დროს ერთ ნაფიც ვექილის სახლში საჩქაროდ შეიკრიბა ნაფიც ვექილების საბჭო ამ უცნაურ შემთხვევის შესახებ მოსალაპარაკებლად. საბჭოს ერთი წევრი ქალაქის გამგეობაში წავიდა და გამგეობის წევრებმა დაუთმეს ნაფიც ვექილებს დარბაზი კრების გასამართავად. სასამართლოსთან თავმოყრილი ვექილები სრულის წესრიგით გაემართნენ ქალაქის გამგეობისაკენ. პოლიციას მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ნაფიცი ვექილები ქალაქის გამგეობის დარბაზში შევიდნენ და იქ ვექილთა საბჭოს თავმჯდომარემ ტურჩანინოვმა გამოუცხადა იმათ სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის განკარგულება და სთქვა, კრება უნდა დაიშალოსო. კრება თანაგრძნობით არ მიეგება ამ ამბავს და ტურჩანინოვმა თავმჯდომარეობაზე ხელი აიღო. იქვე ერთხმად არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ მ. ს. კორსაკოვი. კრება შეუდგა შემდეგი საკითხების განხილვას: 1) რამდენად წესიერი იყო სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის განკარგულება, 2) რა და რა მიზეზები აბრკოლებდნენ სასამართლოს წესდებათა სავსებით მოქმედებას.

კრებამ ერთხმად დაადგინა: გაჰკიცხოს სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი და კანონიერის გზით განასაჩივროს იმისი განკარგულება. კრებამ ერთხმად გამოაცხადა შემდეგი აზრი: არ შეიძლება დამყარდეს მართლმსაჯულება იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანის პიროვნება შევიწროებულია, არ არსებობს სიტყვის, კრების, კავშირის, სარწმუნოების თავისუფლება. კრების დადგენილება და გამოთქმული აზრი იქვე დაწერილ იქმნა და არჩეულ იქმნა დეპუტაცია შინაგან საქმეთა მინისტრისათვის ამ ქაღალდის გადასაცემად. დეპუტატებად პეტერბურგის სახელ-განთქმული ვექილები აირჩიეს. იმ დღესვე ერთ კერძო რესტორანში პეტერბურგის ყველა ვექილების კრება მოხდა.

◆ გუშინდელ „რუს. ქრ.“-ში მოთავსებული გვქონდა ამბავი იმის შესახებ, რომ პეტერბურგში, მოხოვაია ქუჩაზე, შეგროვილ ხალხს ცხენოსანი პოლიციელები მიასიეს და გაჰფანტეს. დღეს გაზეთები გვაუწყებენ, რომ პოლიციასთან შეტაკების დროს მძიმედ დაშავდა რამდენიმე კაცი: ერთ მოხუცებულ კაცს თავის ქალა აქვს ჩამტვრეულიო.

◆ სასამართლოს წესდებათა შემოღების შემდეგ 40 წლის თავის აღსანიშნავად პეტერბურგის მწერლებისა და მხატვრების კრება მოხდა. კრებას თავმჯდომარეობდა ცნობილი რუსის მწერალი ვ. კოროლენკო. 800-მდე კაცი იყო თავმოყრილი. ცნობილმა მწერლებმა კრებაზე სიტყვა წარმოსთქვეს.

◆ მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების მდივანს შლიკოვს, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გაგზავნილი, ნება მისცეს მოსკოვში დაბრუნდეს.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

კახეთი. თუმცა წელს ზოგ სოფელში უჩიოდნენ, ვაზი ვერ არის შარშანდებულად, ობმა და ნაცარმა ჩვეულებრივ თავი იჩინაო, მაგრამ მაინც წელს კახეთში ღვინის მოსავალი რიგიანი გამოვიდა. როგორც ჩემ მიერ შეკრებილ ცნობებიდან გამოირკვა, ღვინის მოსავალი საერთოდ საშუალოა, მხოლოდ ბევრ სოფელში, როგორც შარშან, ქურძლის შოვნა არ იყო. ასე რომ სხვაგან მოუხდათ ქირაობა. გაღმა მხარეს სოფლის ვენახები უფრო სჯობდა ბოლოსას—ალაზნის ნაპირებზე მდებარეს. გაღმა მხარეს ბოლოს ვენახებს გაზაფხულზე, ყვავილიდან რომ გამოიხარხლა, ერთ ხანად ისეთმა ჰავამ დაჰკრა, რომ მტევნის ბოლო მიფშრუკა, ხოლო ზემო ნახევარი სალი დარჩა. მაინც მეკენახე დარსვერ დაემდურებოდა, ნამეტნავად გაზაფხულზე—სეტყვამ თითქმის თავი დაანება (თუმცა ერთ ორიოდ სოფელს მაინც ეწვია ზემო მხარეს), რომ შემოდგომას ხელი შეეწყო. შემოდგომამ ჩაახშამა მთელი წლის ნამუშევარი. ჯერ იყო—წელს მეტად გვიან მოიწია, მერე სწორედ მაშინ დაიწყო ავდარი, როცა ყველა რთველს აპირობდა. დაიწყო წვიმა და აღარ ელირსა გადაღება. ძრიელ ცოტამ მოასწრო დარით რთველის ჩაკლება, უმრავლესობას ხომ ავდარში მოუხდა კრეფა. სისველისაგან ყურძენი დასქდა, დალპა. ამას გარდა მარცვალი გალაყდა, წყალი ბევრი შეჰყვა; ამან, რასაკვირველია, ღვინის თვისებაზე გავლენა იქონია. როგორც იყო, დაიწურა ყურძენი, დამაჭრდა, დაიდუღა, დაღვინდა, გადაიღ-გადაიწმინდავეს და მუშტრისთვის მოამზადეს, მაგრამ ამაოდ: არ იყიდება. „ბევრჯელ ყოფილა უმუშტრობა, ბევრჯელ დაცემულა ღვინის ფასი, მაგრამ ასე ჯერ არასოდესაო“, ამბობენ მცხოვრებნი. ჯერ იშვიათად იყიდება და თუ გაიყიდა, ისიც საპალნე 40—70 მან. 70 მ. იშვიათად, 35—45 მ. ხშირად, ნამეტნავად წვრილ მემამულეთა ღვინო. ამაზე მეტიღა იქნება! ჩაფი 1 მ. 20 კ. რაღა უნდა დარჩეს მევენახეს. ეს ხომ ჰიგვის, ასახვევ მასალის და გოგირდ-შაბიამნის ფასია, მთელი წლის მუშაობა კიდევ მუქთად უცლია. სხვა უიმისოთ ამ დროს თელავში მრავლად ყოფილან ღვინისთვის მოსული სირაჯები; წელს-კი ძლიერ ნაკლებად შეჰხვდებით და თუ ვინმე მოვიდა, ისიც ქვემო მხარეს—ველისციხე-ბუკურციხისკენ გაეშურა. ყველა მსხვილი მემამულე—თავადაზნაურობა არა, უმრავლესობა მაინც კახელ მემამულეთა საზოგადოებას აძლევდა თავის მოსავალს. მაშასადამე, გასასყიდად თუმცა საკმაო, მაგრამ მაინც ნაკლები ღვინო რჩებოდა. და ამას გავლენა ჰქონდა ღვინის ფასზე. როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, წელს „კახეთი“-ს ბევრი წევრი იძულებულია სირაჯს მიჰყიდოს, და მგონი, ეს გარემოება იმოქმედებს ფასის დაქვეითებაზე.

მართალია, ღვინო არ იყიდება და არც შესაფერი ფასი აქვს, მაგრამ მაინც პატრონი უხდება და კახელ გლეხ კაცს მხოლოდ მოსავლის ნაწილი-ღა რჩება. მოგეხსენებათ, ღვინო კახეთის ცხოვრების უმთავრესი სახსარია. ყველა ხარჯს ღვინით ისტუმრებს, ღვინის იმედითვე იღებს ვალს. ამისთვის რაკი შემოდგომა დადგება, მთელ კახეთს იბობასავით მოედებიან მოვალეზე ფულის პატრონები. ზოგს სარგებელს ართმევენ, ჯარიმას ახდევინებენ, ზოგს ისევ უმატებენ და საერთოდ ვაი მისი ბრალი, ვინც მათ ქსელში გაებმება.

დიმიტრაშვილი

ს. შაშიანი (კახეთი). კახეთში ყველგან უჩიოდნენ ქურდობას, მაგრამ ყველაზე მეტი წვალება შაშიანმა და მისმა მეზობელმა სოფლებმა გამოიარეს. აღარავინ მოასვენეს. ღამე ისე არ გავიდოდა, თოფების სროლა არ ყოფილიყო და ხან ერთ სოფელში მოედებოდა ცეცხლი, ხან მეორეში. ბოროტებასა და ავ-კაცობას არავინ არა ჰფარავდა, პირიქით, იკვეხებოდნენ, ჰე ამა და ამ ქურდს მიძახიან და იმუქრებოდნენ კიდეც. ეს ვაჟბატონები მოროთულ-მოკაზმულნი თავისუფლად დაიარებოდნენ და საწყალ გლეხ-კაცს კი ძალით და ცხადლივ ტყავს აძრობდნენ. ამ ვაჟბატონების ასალაგმავად, ყურსაც არავინ იბერტყავდა. შიშით საქონელი ვეღარ გაერეკათ. ხმა, კრინტი ვერ დაეძრათ, ეშვის თვალით ვერავისათვის შეეხედნათ. ან ვინ გაბედავდა ამას—ვაი იმის ბრალი, ერჩივნა გადასახლებულიყო. მოთმინების ფიალა აევსოთ, ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა, ისევ ჩვენ უნდა მოვუაროთ ჩვენს თავსაო, და საჯაროდ დაიწყეს თვით-განსამართლება. მთელი სამი დღე კეტებით შეიარაღებულნი მცხოვრებნი მსჯავრსადებდნენ ქურდებს. იჭერდნენ, აბამდნენ და სცემდნენ. გამოიტანეს მათი ოჯახიდან პური, ღვინო, გამოიყვანეს საკლავი, დახოცეს და გაანაწილეს მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით—ყველას თითო კერძი გაუგზავნეს—მღვდელს, მასწავლებელს და დიაკვანსაც. მედუქნეებიც დაარბიეს, საკლავი დაუხოცეს სასოფლოდ. შეშინებულ მედუქნეთ დუქანი დაეკეტათ—არ აგვიკლონო. ამას იქით ქურდობა, ხელბრუდობა და პარვა აღარ იყოს და ვისაც შევამჩნევთ, ვაი მისი ბრალიო, აძახდა გაანჩხლებული ხალხი. თავიანთ შორის ერთ პატიოსან კაცსაც სცემეს. ამას ნადავლიდან ორჯელ წაეღო კერძი. ერთი ერგებოდა და მეორე რომ წაიღო, ეს ხელბრუდობაა—მოპარვაა, ამას ვერ მოვითმენთო. ერთის სიტყვით, ეშვიანს არავის ინდობდნენ და მასაც კი ემუქრებოდნენ, ვინც მათ ქცევის წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა ან ცემა-დაჭერაში არ შეეშველებოდა. გასჭრა ხალხის სამართალმა. მას შემდეგ აღარაფერი დაკარგულა, არაფერი მოპარულა. ხალხმაც თავისუფლად ამოისუნთქა. წინა ღამეს ისე ფხიზლად იყვნენ, თითქოს მტრის თავდასხმას ელიანო, ეხლა კი მოსვენებით არხეინად სძინავთ. აღარაფრის შიში არა აქვთ. სოფლის „პოვერნიები“ კი (ასე უწოდებენ თავიანთ თავს) ისევ განაგრძობენ სოფლის მინდობილ საქმეს. ქურდებს და საეჭვო პირთ ხელ-წერილს ართმევენ, რომ თუ რამე დაიკარგა, მათ უნდა ზღონ. ამას გარდა სამ კატეგორიათ გაუყვიათ და ისე შეუწერიათ ფული 15—50 მან. თითოსათვის, იმისდა მიხედვით, ვინ როგორი ქურდი იყო. სოფელი დარწმუნებულია, რომ ასეთი ზომები უეჭველად იმოქმედებს და აღარ განმეორდება ის ძარცვა-გლეჯა, რომელიც წინად ხშირი იყო.

დ—შვილი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 ნოემბერი

ტიანძინი, (გაგრძელება იმ დეპეშისა, რომელიც გუშინდელ ნომერშია მოთავსებული). როდესაც იაპონელებმა ვანტაის გორის ძირი აიღეს, რუსებმა მაშველი ჯარი და ტყვიის მტყორცნელები გაგზავნეს ფერდობებზე, აგრეთვე ფორტში. იაპონელებმა უკან დაიწიეს. ამ ადგილას მოხდა ცხარე და მწვავე ბრძოლა. რუსები მამაცად და თავგამოდებით იბრძოდნენ. გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა; საქმე შტიკებსა და ხელით სასროლ ყუმბარებამდე მივიდა. ბოლოს იაპონელებმა დაიჭირეს ტრანშეები კედლიდან ოთხი მეტრის მანძილზე. თვით კედელი რუსებს უჭირავთ. იაპონელები და რუსები ერთმანეთს დინამიტის ყუმბარებს ესვრიან. იაპონელები ძლიან სცდილობენ, რომ დაიჭირონ აღმოსავლეთ ერლუნშანი. ამიტომ სიბნელეში ეცნენ საფარების პირველ რიგს. რუსები თავს იცავდნენ შტიკებითა და დინამიტის ყუმბარებით. იაპონელებმა დაიჭირეს ფორტის ძირითი ნაწილი, მაგრამ როდესაც განიზრახეს მოედნის ზედა ნაწილის იერიში, ბევრი დაიღუპა. ასეთივე ცხარე ბრძოლა მოხდა დასავლეთ ერლუნშანის ფორტთან. ბრძოლამ გათენებამდე გასტანა, როდესაც იაპონელები პარაპეტის კედლებს ამოეფარნენ. იაპონელებს და რუსებს შორის მანძილი არ აღემატებოდა რამდენსამე მეტრს. ეს ბრძოლა ბოლომდე ხელჩართული იყო. იბრძოდნენ შტიკებით, ხელით სასროლყუმბარებით და თოფის კონდახებით. იერიშმა 203 მეტრიან გორაზე გასტანა ექვს დღეს. ბრძოლა ცხარე იყო. ყუმბარებისაგან გორას სრულიად ფერი ეცვალა. იაპონელებმა რუსები მოატყუეს, განგებ იერიში მიიტანეს, რუსები გორაკიდან ძირს ჩაიტყუეს და მერე თითონ დაიჭირეს გორა. თავგანწირული წინააღმდეგობა რუსებისა ამტკიცებს, რომ მათ გადასწყვიტეს არ დანებდნენ, ვიდრე იმედია ბალტიის ესკადრის მოსვლისა.

მუკდენი, 27 ნოემბერი (საკუთ. კორესპ.). მუკდენში პრინცი ბურბონი დაბრუნდა; პრინცმა ძნელი საქმე შეასრულა მომქმედ არმიის რაიონს გარედ.

ლონდონი, 27 ნოემბერი („რეიტერი“). ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, ინგლისის კრეისერ „ტალბოტ“-ის ოფიცრებს

ვერცხლის აზარფეშა გადაეცეს. აზარფეშაზე შემდეგი წარწერაა: „რუსეთის იმპერატორმა უძღვნა „ტალბოტ“-ის აფიცრებს მეგობრულ მადლობის ნიშნად იმ დახმარებისათვის, რომელიც „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის მეზღვაურებს გაუწიეს ჩემულპოსთან ბრძოლის შემდეგ 1904 წ. თებერვალში“; მისმა უდიდებულესობამ იმასთანავე ბძანა, რომ უელსის პრინცს 500 გირვანქა სტერლინგის ჩეკი გადაეცეს სამეფო საზღვაო ფონდისათვის, რომლის თავმჯდომარედაც პრინცია დანიშნული. ინგლისის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა რუსეთის იმპერატორს „ტალბოტ“-ის აფიცრების სახელით.

დაკარი, 26 ნოემბერი. კრეისერი „ურალი“ მოვიდა.

ჯიბუტი, 27 ნოემბერი. ადმირალ ფელკერზამის რაზმი მალე მადაგასკარისაკენ წავა.

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი („რეიტერი“). გაზეთებში დეპეშაა დაბეჭდილი, რომ ნიუ-ჯერსეიაში რუსეთისათვის აშენებულ 9 ნაღმიან გემს დაჰშლიან, გემზე დაუდებენ და რუსეთს გაჰგზავნიან. მეათე ნაღმიანი გემი თითონ წავიდა ატლანტის ოკეანეში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 ნოემბერი

ტოკიო, 27 ნოემბერი. იამაგატა იუწყება, კრეისერი „საიენი“ 17 ნოემბერს გენ. ნოგის არმიას ეხმარებოდა და თვალ-ყურს ადევნებდა, რომ ბლოკადა (შემორტყმული ალყა) არ გაერღვიათ; ამ დროს „საიენი“ მექანიურ ნაღმს დაეჯახა. კრეისერი „აკაში“ საჩქაროდ გაქანდა საშველად, მაგრამ სანამ მივიდა, კრეისერი „საიენი“ ჩაძირულიყო. 16 აფიცერი და 175 მატროსი გადაარჩინეს. კაპიტანი ტაჯიმა და 38 მატროსი დაიღუპნენ.

ლონდონი, 27 ნოემბერი. იაპონიის საელჩო ამოწმებს „საიენ“-ის დაღუპვის ამბავს.

ჩანხიამუტუნი, 26 ნოემბერი. დილით გათენებამდე ძლიერი ზარბაზნი სროლა დაიწყო პუტილოვის გორის მარჯვნით. დღისით სიწყნარე იყო. რუსის ჯარი გიორგის დღესასწაულს უქმობს. დილიდან თოვლი მოდიოდა. დღისით თბილი ქარი ჰქროდა; ტალახია.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
28 ნოემბერი

ტოკიო, 27 ნოემბერი. საკანონირო გემი „საიენ“-ი 17 ნოემბერს ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. გემზე მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი გადაარჩინეს. უმეტესი ნაწილი ფორმოზის დივიზიისა ჯერ კიდევ არ წასულა. უთუოდ მეშვიდე დივიზია დალნიდან ოიამას არმიისაკენ კი არა, ნოგის საალყე არმიაში მიდის. რადგან პირველი დივიზია ვისოკაია გორის აღების დროს დიდათ დაზარალდა, მხოლოდ მაშინ დაიწყებენ იერიშის განგრძობას, როცა მთელი საშველი ჯარი მიუვათ. ეს კი შუა იანვარსა ან თებერვლამდე მოუხერხებელი იქნება.

ვლადივოსტოკი, 23 ნოემბერი. სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე შესახებ ერთის ხუნხუზისა, რომელიც ცხენოსანთა რაზმის ერთმა ჯარის კაცმა დაიჭირა. ბრალდებულს 12 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტეს.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 27 ნოემბერს: „27 ნოემბერს ღამის 2 საათზე ლინშიპუს პოზიციის მარჯვენა ფრთაზე აღმოჩნდა წინ მიმავალი იაპონელთა რამდენიმე რაზმი: თვითეულში 30-მდე კაცი იქნებოდა. რუსებმა ახლო მანძილიდან სროლა აუტეხეს იაპონელებს, რომლებიც ძლიერ დაზარალდნენ და უკან დაიწიეს. 25 ნოემბერს მთელ ფრონტზე მოგვიკლეს ორი კაცი, დაგვიჭრეს 10 და გაგვიკაწრეს 3 სალდათი. ამ დღის განმავლობაში შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა“.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 ნოემბერი

ბერლინი, 27 ნოემბერი. როგორცა „ბერლინერ ტაგებლატ“-ი ტოკიოდან მიღებულ ცნობას იუწყება, რადგან რუსების არტილერია პორტ-არტურში სიდიდით აღემატება იაპონელებისას და აგრეთვე მოხერხებულად ხელმძღვანელობენ ამ არტილერიას, იაპონელებმა თავიანთ გემებიდან ნაპირზე გადაიტანეს მძიმე არტილერიის ნაწილი, რომ რუსების 28 სანტიმეტრიან ზარბაზნების წინააღმდეგ ამგვარივე ზარბაზნები იხმარონ. მხოლოდ, თუ ეს მოახერხეს იაპონელებმა და თუ მაშველი ჯარი მიუვიდათ, ხელახლა მიიტანენ იერიშს. ახალი იერიში იანვარზე ადრე არ მოხდება. ურწმუნონი ფიქრობენ, რომ თებერვალზე ადრე არ მოხდება შეტაკებაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 ნოემბერი

ყაზანი, 27 ნოემბერი. ჩაიკინის საქმე. სადამოს სხდომაზე წაიკითხეს ჩვენება კუზეროვის ქალისა, რომელიც სხდომას არ დაესწრო. პოლიციმეისტერი და ბრალდებული კუზეროვის ქალი და შილდინგი ახასიათებენ მცირე-წლოვან კუზეროვას, როგორც გარყვნილ პატარა ქალს. მისგან სხვა და სხვა დროზე ჩამორთმეული ჩვენებანი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, საზოგადოდ კი მტკიცდება, რომ ჩაიკინმა და კომოვმა მონაწილეობა მიიღეს ხატების მოპარვასა და დამტვრევაში, ძვირფასი ნივთების განაწილებაში კი კუზეროვის და შილდინგის ქალებმა მიიღეს მონაწილეობა. ბრალდებულთა ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ჩაიკინი მამასავით უყვარდა კუზეროვასა და იმის შვილებს. კუზეროვა უფრო ბედნიერი იყო ჩაიკინთან, ვიდრე თავის ქმართან. ჩაიკინმა წერა-კითხვა არ იცის, იცის უმთავრესი ლოცვები, ეკკლესიაში-კი ძვირად დადის. ჩაიკინის დამცველი თხოულობს გაიყვანონ დარაჯები, რადგან ისინი სულიერად სტანჯავენ ბრალდებულს. დამცველის თხოვნა უარ-ჰყვეს. განაგრძეს ჩვენების ჩამორთმევა. პოლიციელმა როაზანოვმა სთქვა, გაჩხრეკის დროს შილდინგის კაბაში იპოვნეს 400 მანეთი, კოფტის საყელოში კი კვიტანციები ჩაიკინის მიერ სამარას გაგზავნილ ორი ზანდუკისა. ბოქაულის თანაშემწე პუტიშკინი და უბნის ზედამხედველი სმოროდსკი ამტკიცებენ, ჩვენების ჩამორთმევის დროს მაქსიმოვი არ უწვალებიათ. გიხური და პოლიაკის ქალი ჰყიდულობდნენ მაქსიმოვისაგან მარგალიტებს და ჩაიკინის მიერ დაგირავებულ ნივთების სალომბარდო კვიტანციებს. მკურნალებმა შეამოწმეს მაქსიმოვის ფოტოგრაფია და დაამტკიცეს, რომ მას შუბლი ცოტათი დაშავებული ჰქონდა. შუადამისას სხდომა შესწყდა.

28 ნოემბერი

პეტერბურგი. გრადონაჩალნიკის ბრძანება: „რადგან ხმა გავრცელდა, შეიძლება ბოროტ-განმზრახველთა თაოსნობით ქუჩებში დემონსტრაციები მოხდეს და პეტერბურგის უმთავრეს ქუჩებზე ხალხმა მრავლად მოიყაროს თავიო, გრადონაჩალნიკი თავის მოვალეობად სთვლის გააფრთხილოს ხალხი, რომ პოლიცია ყოველნაირ ღონისძიებას მიიღებს მოძრაობის ჩასაქრობად და წესიერების აღსადგენად. რადგან ამ დროს შეიძლება უბედურება მოხდეს, იწვევენ ხალხს მიერიდონ ქუჩებში ყრილობებს, რათა თავიდან აიცილონ უწესოების შედეგი“.

ვენა, 27 ნოემბერი. შვეიცარიის რწმუნებულმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა გოლუხოვსკიმ 20 ნოემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას სამედიატორო წესით საქმის განხილვის შესახებ.

სტოკჰოლმი. რუსის ფიზიოლოგს პროფესორს პავლოვს დაუნიშნეს ნობელის პრემია, სამედიცინო გამოკვლევებისათვის დანიშნული.

სტამბოლი, 25 ნოემბერი. პორტამ უარ-ჰყო შეთანხმებულ სახელმწიფოთა წინადადება მაკედონიის ჟანდარმერიაში უცხოელ აფიცრების რიცხვის მომატების შესახებ. ელჩები დაუყოვნებლივ გამოაცხადებენ პროტესტს და სეროზულად მოითხოვენ თავის წინადადების შესრულებას.

ბელგრადი, 27 ნოემბერი. რადიკალთა ორივე კლუბი შეთანხმდა ზომიერ მიმართულების კაბინეტის შესადგენად.

28 ნოემბერი

პეტერბურგი. გროდნოს გუბერნია და მაზრები ლენქორანისა და კუბისა, ბაქოს გუბერნია, ხოლერის მხრით საშიშოდ არიან ცნობილნი.

ბერლინი, 27 ნოემბერი. გერმანიის თავისუფალ მოაზრეთა და სახალხო დასებმა რეიხსტაგში რეზოლიუცია შეიტანეს იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტზე და თხოულობენ, რომ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა გაცემის შესახებ ხელშეკრულობა საიმპერიო კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად მხოლოდ იმპერიასა და უცხო სახელმწიფოებს შორის უნდა სრულდებოდეს. რაც შეეხება გერმანიის სხვა სახელმწიფოებსა და უცხო ქვეყნებს შორის დადებულ ხელშეკრულობას, დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადონ იმათი გაუქმება.

ლონდონი, 27 ნოემბერი. პორტუგალიის მეფე პარიზს წავიდა.

ყაზანი, 27 ნოემბერი. ჩვენება ჩამოართვეს 11 მოწმეს. გამოირკვა, რომ ჩაიკინმა ყვნასების პატრონის სახელი დაიჩემა. მონაზონი ხორევა ამტკიცებს, როცა ზახაროვი სარდაფიდან გამოვიდა ტანისამოსი აგურით არ ჰქონია დასვრილიო. წაიკითხეს ოქმები ჩაიკინისა და შილდინგის სადგომების გაჩხრეკის შესახებ. გაჩხრეკის დროს იპოვეს რევოლვერი, ქუდი, პასპორტი, ფოტოგრაფიული სურათები და ყალბი ბეჭდები. რუსულ ფეჩში იპოვეს მარგალიტები, ვერცხლის სამკაულის ნამტვრევები და მაცხოვრის ხატის ნაწილები. მოწმეებმა აჩვენეს, რომ ჩაიკინმა ბევრი ნივთი დაუგდეთ მაქსიმოვს.

ყაზანი, 28 ნოემბერი. ჩვენება ჩამოართვეს მონაზონ ბარბარეს. წარმოადგინეს ხატის სურათი და ჩაიკინის სახლში ნაპოვნი ხატის სამკაულის ნაჭრები, მარგალიტები და ძვირფასის თვლები. ყველა ეს ნივთები იცნო მონაზონმა და აგრეთვე ჩაიკინის სადგომში ნაპოვნი დამწვარ ხატის ნაწილები. ექსპერტმა ნოვოსელსკიმ წარმოადგინა როგორ გაჰჩრიდა ჩაიკინი ხატს იმ მაკრატლით, რომელიც ჩაიკინის სახლში იპოვეს. მონაზონმა ბარბარემ თქვა ჩაიკინი და მაქსიმოვი ქურდობის წინად ვნახე მონასტრის გზაში. მაქსიმოვსა მთხოვა, ნუ დამღუპავო. მოპარული სამკაული ხატისა ისტორიული განძია. იმპერატრიცა ეკატერინესაგან მრავალის ბრილიანტით შემკული იყო ეს ხატი. მაქსიმოვის დამცველი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქურდობის დროს მაქსიმოვი შინ იყო. ოყვედიმა კლიმოვმა დაახასიათა მაქსიმოვი, როგორც კარგი ოსტატი და უკვირს როგორ მიიღო მონაწილეობა ქურდობაში. თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა ორივე მხარეს, გამოაცხადეთ როგორ უნდა შეივსოს გამოძიების საბუთებიო. თუმცა საქმის გარჩევა დიდხანს გაგრძელდა, სასამართლოს დარბაზი სავსე იყო ხალხით. ყველას ეჯავრება ჩაიკინი, ზეზე მიქცეული; ხალხი თანაგრძნობით უცქერის მაქსიმოვს, რომელსაც ჩაიკინი უმთავრეს ბრალს სდებს, დანარჩენებს კი ამართლებს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 26 ნოემბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅛
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	425
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	316
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	267
5% ობლ. ტფილ. საკრ. სახოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	244

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოკტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუ., ძველი ტერ-ასაპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგზ. ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტევოსისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქოვისა. ექიმი ნ. კახუთოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თაგ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 1—2 საათ
   „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

მიიღება ხელის-მოწერა 1905 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათ ქართულს
XXII წ. „მწყემს“-ზე XXII წ.
და
XX წ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XX წ.

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 მ.	6 თვით „მწყემსი“ 2 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 მ.	— „რუსული“ „ 2 „
— „ რუსული „ 3 მ.	— „ ორივე გამოცემა 3 „
	— „ ორივე გამოცემა 5. „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში—ბ-ნ ესტატე ლომაშვილთან, ტფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ახალხენაკში—ბლადოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გახეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала «МЦКЕМСИ» и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან. (3—2)



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬК
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სახბოსნის ახლოს. (წ.—176—86)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასომთავრული ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 ს[illegible] წოლია შინაგან, ნერვებისა, საზირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible] ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ. კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	— [illegible]
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 1
ბნელი, მოთხრობა—შეღანიასი	— 2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 7
იგივე II და III ტომი თითო	— 6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 8
ოთელის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 2
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 50
სიბრძნე ბალავარისა	— 3
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 15
დვინის დაცვება, პროფეს. გ ჰეტრიაშვილისა	1 60
რძე, მისივე	1 50
ცოცხლითა და მკვდრითა, რომანი—გენრის სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 8
ხუთი რაფუთისა, თარგ. სომხურიდან ბ. ქვანგულოვისა	1 —

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის[illegible]
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

მაღაზია ტფილისში
კ. დ. კობახიძისა
(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალმულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოთ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოთ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭდით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—6.—13)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ნაწერები ს. მესხისა
გამოცემა ს. ფირცხალავასი
ტ. 1. ფასი 1 მან.
საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში.

Открыта подписка на 1905 годъ, XI годъ изданія,

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

органъ Императорскаго Кавказскаго Общества сельскаго хозяйства.

Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя, статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельскохоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты Общества и его органовъ. 9. Критика и библіографія 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельскохозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или бюро Общества сельскаго хозяйства.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 руб., ¼ года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ редак. „Кавк. Сельск. Хоз“., Барятинская улица, собственный домъ.

Отвѣтственный редакторъ **А. А. Калантаръ**.

Дозволено цензурою, 27 ноября 1904 г.
სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა.
Электрон. „Груз. Изд. Т—ва.